განკარგულება:**g-37. 37261194**
თარიღი:**29/04/2026**

განკარგულება N15

29 აპრილი 2026 წელი

ქ. ოზურგეთი

ქალაქ ოზურგეთში საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ქალაქ ოზურგეთში საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით, განთავსდეს შემდეგი საგზაო ნიშნები:

1.1. თაყაიშვილის ქუჩაზე, ქუჩის მარჯვენა მხარეს, მდ. „ნაბჟუარას“ ხიდის ბოლოში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N1-ით განსაზღვრული, ამკრძალავი საგზაო ნიშანი - 3.27. „გაჩერება აკრძალულია“- 1 (ერთი) ერთეული, საგზაო ნიშნების განთავსების სქემა თან ერთვის -1;

1.2. თაყაიშვილის ქუჩაზე, ქუჩის მარჯვენა მხარეს, თაყაიშვილის და ანტონ ნაკაშიძის ქუჩების კვეთაში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N1-ით განსაზღვრული, ამკრძალავი საგზაო ნიშანი - 3.27. „გაჩერება აკრძალულია“ - 1 (ერთი) ერთეული, საგზაო ნიშნების განთავსების სქემა თან ერთვის -1;

1.3. „9 აპრილის“ ქუჩაზე, ქუჩის მარჯვენა მხარეს, გურიის ეპარქიის რეზიდენციის ეზოს დასაწყისში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N1-ით განსაზღვრული, ამკრძალავი საგზაო ნიშანი - 3.28. „დგომა აკრძალულია“ - 1 (ერთი) ერთეული, საგზაო ნიშნების განთავსების სქემა თან ერთვის -1;

1.4. „9 აპრილის“ ქუჩაზე, ქუჩის მარჯვენა მხარეს, მუზეუმის ეზოს დასაწყისში „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N1-ით განსაზღვრული, ამკრძალავი საგზაო ნიშანი - 3.31. „დგომა აკრძალულია“ ნიშნის დასასრული - 1 (ერთი) ერთეული, საგზაო ნიშნების განთავსების სქემა თან ერთვის -1;

მუხლი 2. ამ განკარგულების თანახმად, დაევალოს ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის მერიას შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი